



01/227/2017

14.07 2017

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის
კომიტეტის თავმჯდომარეს ბ-ნ რომან კაკულიას

ასლი: საქართველოს პარლამენტის განათლების მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის
თავმჯდომარეს ქ-ნ მარიამ ჯაშს

ასლი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
თავმჯდომარეს ბ-ნ ირაკლი კოჭანაძეს

არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი შეფასება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით

წარმოგიდგენთ, ხელმოწერილ არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივ შეფასებას „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით. შემოთავაზებული კანონპროექტით, საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობა გამოდის საჯარო კანონმდებლობის რეგულირების ფართო სფეროდან, უარესდება მაუწყებლის ანგარიშვალდებულების სტანდარტი, სუსტდება მაუწყებელში დაცული ინფორმაციის მისაწვდომობის და სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალედ წარმართვის, ასევე საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიები, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო დაფინანსებით მოქმედი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის ფუნქციონირებას და არსებითად ასუსტებს მაუწყებელზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობებს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ, ორი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი¹, ითვალისწინებს სპეციალურ ჩანაწერს საზოგადოებრივი მაუწყებელთან დაკავშირებით და ხაზს უსვამს მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, სახელმწიფო უწყებებისა და არსებითი კომერციული გავლენებისგან დაცვის მიზანს.² კონსტიტუციის პროექტის გაცხადებული მიზნის საპირისპიროდ, წარმოდგენილი ცვლილებებით სუსტდება მაუწყებლის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტები და ძლიერდება მისი კომერციალიზაციის საფრთხე, რაც წინააღმდეგობაში მოდის არა მხოლოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის ცენტრალურ, საჯარო ფუნქციას, არამედ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების არსთან - გარანტირებული გახადოს მაუწყებლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანად მივიჩნევთ, შესაბამის საპარლამენტო კომიტეტებს გავუზიაროთ ის ძირითადი არგუმენტები, რაც გამოკვეთს წარმოდგენილი კანონპროექტის საფრთხეებსა და ხარვეზებს:

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა აღარ გავრცელდება მაუწყებლის მიერ შემენილ ტელერადიოპროდუქციაზე

შემოთავაზებული ცვლილებებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროდან გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადასაცემი, ასევე გარე მომწოდებლებისგან მისაღები ტელერადიო პროდუქციის შესყიდვის პროცედურა, რაც კანონპროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის თანახმად, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „უმრავლეს შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო, წინასწარ ვერ ხერხდება სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა, ხოლო უმოკლეს ვადებში კი ვერ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა“. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიზანია ნათლად გაწერილი პროცედურებით უზრუნველყოს საჯარო რესურსების რაციონალური ხარჯვა, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომების და თანასწორი მოპყრობის, ასევე სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა.³ საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პროდუქციის შესყიდვის გატანა შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროდან, სამართლებრივი რეგულირების მიღმა, მხოლოდ მენეჯმენტის გადაწყვეტილებებზე დამოკიდებულს ხდის ამგვარ შესყიდვებს, რაც დაასუსტებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულების სტანდარტს და შექმნის შესყიდვის პროცედურის არასაჯაროდ წარმართვის საფრთხეებს.

ასევე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ, შესყიდვების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საკმარის მექანიზმებს, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევებში, შესყიდვების გამარტივებული წესით, განსახორციელებლად. მეტიც, კანონმდებლობა ასევე მოქნილია და ქმნის მექანიზმებს, ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც შემსყიდველი საჭიროებს შესყიდვისათვის ხარისხობრივი მაჩვენებლით

¹ <http://info.parliament.ge/#law-drafting/13831>

² საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, მუხლი 17, ნაწილი 6.

³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი“, მუხლი 2.

უპირატესობის მინიჭებას, რა დროსაც, მას აქვს საშუალება, გამოიყენოს ორეტაპიანი შესყიდვა.⁴ აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოქმედ მენეჯმენტს, ამ დრომდე პრაქტიკაში არ გამოუყენებია⁵ მითითებული მექანიზმები, შესაბამისად, დამაჯერებლობასაა მოკლებული მათ ხარვეზულობაზე საუბარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვების სათანადო დაგეგმვა და მოსალოდნელი ხარჯების წინასწარ გათვალისწინება, საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს პასუხისმგებლობაა და აღნიშნული პროცესის ორგანიზების სირთულე ან კონკრეტული მენეჯმენტის მხრიდან მისი შეუძლებლობა, არ შეიძლება გახდეს კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების და საზოგადოებრივი მაუწყებლის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების საფრთხის წინაშე დაყენების ლეგიტიმური საფუძველი.

მნიშვნელოვანია, რომ შესყიდვების კანონმდებლობიდან გამონაკლისების წრის გაფართოებას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტის დასუსტებად მიიჩნევს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), რომელიც შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს და მოითხოვს, რომ ქვეყანამ დაავიწროვოს ისეთი სახელმწიფო შესყიდვების ჩამონათვალი, რომელზეც არ ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა.⁶ საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ევროპის მაუწყებელთა კავშირის დასკვნის თანახმად, ტელერადიო პროდუქციის შესყიდვათა განხორციელება, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან გამონაკლისის დაშვების გზით, მიღებული სტანდარტია და ეფუძნება ევროკავშირის საჯარო შესყიდვების 2014 წლის დირექტივას.⁷ თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ევროპის მაუწყებელთა კავშირი ასეთი გამონაკლისის დაწესებას, თანასწორობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაფუძნებით მოიაზრებს, რამდენადაც, შესყიდვების 2014 წლის დირექტივის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან გასულ ურთიერთობებს არეგულირებს „ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმება (TFEU)“, რომელიც მხოლოდ ამ პრინციპების მყარი გარანტირების საშუალებით უშვებს საგამონაკლისო შესყიდვების განხორციელებას.⁸ აღნიშნულისგან განსხვავებით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან გასვლის სანაცვლოდ, წარმოდგენილი კანონპროექტი არ გვთავაზობს ამ შესყიდვების რეგულირების ალტერნატიულ მექანიზმებს და მათ, ყველანაირი სახელმწიფო რეგულირების მიღმა, ზემოაღნიშნული პრინციპების საკანონმდებლო წესით გარანტირების გარეშე ტოვებს, რითაც ზრდის დაუსაბუთებელი და გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების რისკებს.

⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-10¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი, ასევე მუხლი 20³.

⁵ ინტერვიუ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრ, სულხან სალაძესთან. 7 ივლისი, 2017 წ. : <https://www.radiotavisupleba.ge/a/28581314.html>

⁶ ORGANISATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT ANTI-CORRUPTION NETWORK FOR EASTERN EUROPE AND CENTRAL ASIA ISTANBUL ANTI-CORRUPTION ACTION PLAN Third Round of Monitoring GEORGIA Monitoring Report, p. 72, article 9.

<https://www.oecd.org/corruption/acn/GEORGIAThirdRoundMonitoringReportENG.pdf>

⁷ ევროპარლამენტის დირექტივა საჯარო შესყიდვების შესახებ # 2014/24/EU დირექტივა : <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32014L0024>

⁸ DIRECTIVE 2014/24/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 February 2014 on public procurement and repealing Directive 2004/18/EC, article (1) General Provisions.

უარესდება საზოგადოებრივი მაუწყებელში დაცული საჯარო ინფორმაციის მისაწვდომობის სტანდარტი

შემთავაზებული ცვლილებებით, საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროდან გადის საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული ტელერადიო და ვებპორტალის პროდუქციის/პროგრამაში დაგეგმილი ან შეტანილი ნებისმიერი სიახლის/ინოვაციის შესახებ ინფორმაცია ან ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტი, რომლის გასაჯაროებას შეუძლია ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას კონკურენტულ გარემოში, მის ეთერში გასვლამდე. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის განსაჯაროების გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი ერთპიროვნულად.

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტს, რომლის თანახმადაც, ყველა მოქალაქე უფლებამოსილია ხელი მიუწვდებოდეს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ დოკუმენტაციაზე, თუ აღნიშნული დოკუმენტაცია არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.⁹ ანალოგიურ წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიც და საჯაროდ მიიჩნევს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას, თუ ის არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.¹⁰ შემთავაზებული კანონპროექტი კი, კონსტიტუციით გარანტირებული ღიაობის პრეზუმფციის საწინააღმდეგოდ, ადგენს კონკრეტული ინფორმაციის დახურულობის სტანდარტს. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც დეტალურად არეგულირებს ინფორმაციის თავისუფლების საკითხებს, ითვალისწინებს კონკრეტულ ჯგუფს მიკუთვებული ინფორმაციის დახურვის შესაძლებლობას და ადგენს პროცედურებს ისეთი ინფორმაციის დასახურად, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული ზიანი. ინფორმაციის დახურულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ინფორმაცია შინაარსით მიეკუთვნებოდეს დახურული ინფორმაციის კანონით განსაზღვრულ რომელიმე კატეგორიას და მიჩნეულ იქნეს ასეთად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონით დადგენილი წესით/პროცედურით.¹¹ აღნიშნული სტანდარტი კი მოითხოვს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს, მიეკუთვნება თუ არა საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაცია, დახურული ინფორმაციის კატეგორიას. წარმოდგენილი ცვლილებებით კი შემოდის საქართველოს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი დახურული ინფორმაციის ტიპი, (სიახლის/ინოვაციის შესახებ ინფორმაცია ან ამ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტი, რომლის გასაჯაროებას შეუძლია ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას), რომელზეც არ ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტები და ეროვნული კანონმდებლობით მოქმედი ინფორმაციის კონკრეტულ შემთხვევებში დახურვის წესი და პროცედურა თუმცა, შემთავაზებული ფორმულირებით, მაუწყებლის მენეჯმენტს მოუწევს გარკვეული პროცედურით შეაფასოს, მოიცავს თუ არა კონკრეტული ინფორმაცია ინოვაციას, რომლის გასაჯაროებას შეუძლია ზიანი მიაყენოს მაუწყებლის საქმიანობას კონკრეტულ გარემოში და მხოლოდ ამის შემდეგ დახუროს ის. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც, კანონი ისედაც ითვალისწინებს, სათანადო საფუძვლებით, მათ შორის, კონკრეტული სუბიექტის კონკურენტუნარიანობისათვის ზიანის მომტანი ინფორმაციის

⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 41, ნაწილი 1.

¹⁰ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-10 მუხლი.

¹¹ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 28.

დახურვის შესაძლებლობას და პროცედურას, სრულიად დაუსაბუთებელია, ამ რეგულირების გვერდის ავლით, დახურული ინფორმაციის წრის გაფართოება. ამასთან, კანონპროექტი ადგენს, რომ დახურული ინფორმაციის განსაჯაროვება, მხოლოდ დირექტორის გადაწყვეტილებით იქნება შესაძლებელი, თუმცა კანონპროექტით შემოთავაზებული ეს წესიც სრულიად ბუნდოვანია, რამდენადაც არაფერს ამბობს ინფორმაციის განსაჯაროვების სტანდარტსა და პროცედურაზე.

მაუწყებელზე აღარ გავრცელდება საბიუჯეტო ორგანიზაციების მარეგულირებელი კანონმდებლობა.

შემოთავაზებული ცვლილებები მოითხოვს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გამოსვლას საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროდან, კერძოდ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე აღარ გავრცელდება იმ ნორმატიული ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოქმედება, რომლებიც არეგულირებენ საბიუჯეტო ორგანიზაციების/დაწესებულებების საქმიანობას იმ დასაბუთებით, რომ აუცილებელია „კანონით, დამატებით განმტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობა, რადგან მიუხედავად თავისი სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების წყაროს-სახელმწიფო ბიუჯეტისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი არ წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურას ან/და კლასიკური გაგებით ბიუჯეტის მხარჯავ ორგანიზაციას“.

საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობა, ფართოდ განსაზღვრავს ბიუჯეტის მხარჯავი ორგანიზაციის ცნებას და ასეთ ორგანიზაციებად მიიჩნევს ყველას, ვინც ექვემდებარება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლს, ანგარიშვალდებული, ან დაფუძნებულია მათ მიერ, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, თუ ისინი შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილებით სარგებლობენ.¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც ფართოდ განმარტავს საჯარო ფუნქციის განმახორციელებელ პირებს და ასეთად მიიჩნევს ყველას, ვინც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ახორციელებს მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციებს.¹³ იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობით, საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს ცენტრალური ბიუჯეტის მხარჯავ ორგანიზაციას, განსაკუთრებით კი სწორედ ბიუჯეტიდან დაფინანსების წესის შენარჩუნების პერიოდში, გაუგებარი და ბუნდოვანია საზოგადოებრივი მაუწყებლის საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან გასვლის დასაბუთება. გარდა ამისა, იმ პირობებში, როდესაც შემოთავაზებული კანონპროექტით ზუსტდება და კიდევ უფრო მკაცრად განისაზღვრება საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო, მმართველობითი და ფინანსური დამოუკიდებლობის ხელყოფის სტანდარტები¹⁴, გაუგებარია საბიუჯეტო კანონმდებლობის რეგულირების სფეროდან

¹² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6, პუნქტი „ს“.

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/2/569, სამოტივაციო ნაწილი, მუხლები 4-17.

¹⁴ საქართველოს კანონის პროექტი „მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, მუხლი 18, ნაწილი 2.

გამოსვლის მიხნევა საზოგადოებრივი მაუწყებლობის დამოუკიდებლობის გამყარების მექანიზმად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის უფლებამოსილება დაუსაბუთებლად ფართოვდება

საზოგადოებრივ მაუწყებელს ენიჭება უფლებამოსილება დამწყები (სტარტაპ) საწარმოების წასახალისებლად მიმართოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები. ამ ცვლილების განხორციელების აუცილებლობის დასაბუთების არარსებობასთან ერთად, კანონპროექტი არ განსაზღვრავს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების წესსა და მექანიზმს, არ ადგენს გარანტიებს, ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიასა და დანიშნულებასთან შესაბამისად, ობიექტურობისა და გამჭვირვალების სტანდარტებით განკარგვასთან დაკავშირებით.

უქმდება საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების დაცვის სპეციალური გარანტიები

შემოთავაზებული ცვლილებებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსათვის თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობების განმსაზღვრელი უფლებამოსილების გაუქმების მოტივით, სრულად უქმდება საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებულ პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციალური ვადები, კერძოდ, თანამშრომელთა ხელშეკრულების, არა ნაკლებ 1 წლიანი, (საინჟინრო თანამდებობებისათვის, არა ნაკლებ 5 წლიანი) ვადა. ამგვარი ცვლილება, დაუსაბუთებლად აუარესებს შრომითი უფლებების დაცვის არსებულ, სპეციალურ სტანდარტებს და ამასთან, ინიციატივა არ ადგენს და არც განმარტავს, თუ რა პირობებით და ვის მიერ განხორციელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა ძირითადი შრომითი პირობების განსაზღვრა; მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რამდენადაც საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც საჯარო მედიასაშუალება, განსაკუთრებით მგრძობიარეა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ, თანამშრომელთა სამაუწყებლო დამოუკიდებლობა პოლიტიკური გავლენებისგან დაცვის მყარ გარანტიებს საჭიროებს. ასეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, სწორედ დასაქმებული თანამშრომლების შრომითი ურთიერთობების მდგრადობაა, რის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფორმას გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულება წარმოადგენს. მითითებული მუხლის ამოღებით, მთლიანად უქმდება თანამშრომელთა შრომითი უფლებების დაცვის სპეციალური გარანტიები, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე ოპტიმიზაციის პროცესის ფონზე¹⁵ ქმნის, თანამშრომელთა მიმართ უსამართლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

კანონპროექტის ინიცირებამდე გამართულ განხილვაზე, დაინტრესებული ჯგუფების და ორგანიზაციების მიერ კანონპროექტის არსებით ხარვეზებთან დაკავშირებით წარდგენილი დასაბუთებული მოსაზრებების მიუხედავად, ინიცირებული კანონპროექტი

¹⁵ სტატია საზოგადოებრივ მაუწყებელში თანამშრომელთა ოპტიმიზაციის გეგმის შესახებ: <http://www.tabula.ge/ge/story/117131-sazogadoebrivi-mautskebeli-tanamshromelta-optimizacii-15-milionis-dazogvas-gegmas>

მნიშვნელოვანად არ გაუმჯობესებულა და ის კვლავ არაერთ პრობლემურ ჩანაწერს შეიცავს. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა, წარდგენილი კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე განიხილა.¹⁶ განხილვა ქუთაისში ჩატარდა, ხოლო განხილვის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის ვებ გვერდზე, წინა დღით, გვიან სადამოს გავრცელდა¹⁷, რის გამოც დაინტერესებულ საზოგადოებას, რომელმაც მანამდე დააფიქსირა კრიტიკული მოსაზრებები¹⁸, არ მიეცა პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი სამართლებრივი შეფასების ხელმძღვანელი ორგანიზაციები მივიჩნევთ, რომ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის შინაარსი და მიზნები, ქმნის საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის გაუმჭირვალედ, დაუსაბუთებლად და საჯარო ინტერესის სტანდარტთან შეუსაბამოდ წარმართვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის დახურულობის, მასზე საზოგადოებრივი კონტროლის შესუსტებისა და მაუწყებლის კომერციალიზაციის გაძლიერების საფრთხეს, რაც განსაკუთრებულად შემაშფოთებელია ბოლო დროს, მაუწყებელში მიმდინარე მოვლენების ფონზე¹⁹.

აქვე გვსურს გამოვხატოთ მზადყოფნა, აქტიურად ჩავეერთოს საკომიტეტო განხილვებში და წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრებები კანონპროექტთან დაკავშირებით ამისთვის კი მოვუწოდებთ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადებისა და პროცედურის დაცვით, უზრუნველყოს გამჭვირვალე და მონაწილეობითი საპარლამენტო განხილვის პროცესის უზრუნველყოფა.

პატივისცემით,

თამთა მიქელაძე
(დირექტორი)



ხელმძღვანელი ორგანიზაციები:

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“
საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
სატელევიზიო ქსელი

¹⁶ <http://info.parliament.ge/#law-drafting/14129>

¹⁷ <http://parliament.ge/ge/saparlamanto-saqmianoba/komitetebi/ganatilebis-mecnierebis-da-kulturis-komiteti/anonsi/30-ivnisi300617.page>

¹⁸ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა
http://www.osgf.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=23&info_id=4929

¹⁹ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა <https://emc.org.ge/2017/06/15/emc-310/>